ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N16

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

სოფ. ბუგეული 05-10-2016 წ.

ერთის მხრივ, სსიპ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფ ბუგეულის საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ნათელა დარახველიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ბარსონა“ (შემდგომში მომწოდებელი) წარმოდგენილი ნანა მელაშვილის სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1.ხელშეკრულების საგანია სკოლისათვის სამეურნეო საქონლის შესყიდვა (CPV39300000სხვადასხვა საოფ.მოწყობილობები,39330000სადეზ.საშ.39224000 ცოცხები და ჯაგრისები,3376100 ტუალეტ.ქაღალდი) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 500(ხუთასი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და სასაქონლო ზედნადებით.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

4.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

4.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

ბ) გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, ახალი და სათანადოდ შეფუთული, საქონელი.

მუხლი 5. პირგასამტეხლო

5.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

მუხლი 6. ფორსმაჟორი

6.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

6.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

6.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 7. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ორი - შემსყიდველთან.

მუხლი 8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრამდე.

მიმწოდებელი	შემსყიდველი
შპს „ბარსონა“	სსიპ სოფ ბუგეულის საჯარო სკოლა
მისამართი: ამბროლაური ტელეფონი: საიდენტიფიკაციო კოდი : 222937302 საბანკო რეკვიზიტები : ს.ს. ,,ლიბერთი ამბროლაურის ფილიალი ბანკი საბანკო კოდი : 220101421 ა/ა GE40LB0113145256293000	მისამართი:ამბროლაური სოფ.ბუგეული ტელეფონი: 577971415 საიდენტიფიკაციო კოდი: №222943910 საბანკო რეკვიზიტები : ს.ს. ,,ლიბერთი ბანკის''- ამბროლაურის ფილიალი საბანკო კოდი: 220101421 ა/ა GE73LB0121110881277000
მიმწოდებელი:	დირექტორი: